ოქმი:**ო63. 6323317001**
თარიღი:**13/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. სამტრედია. 6 ნოემბერი, 2023 წელი.

2023 წლის 6 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ დვალიშვილი, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.

1. ა.(ა).ი.პ. ,,სახლი თანადგომა"-ს ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
6. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში, ბეჟან გოგია.
7. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

1. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

8. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომრემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგი:

   1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №g-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235525 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

3. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N21-ე ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი. მელაშვილი/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020.01.501) 17.09 კვ.მ ფართის ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-სთვის, თხოვების ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

6. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაასერთი) ელექტროგადამცემი

ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)''-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი–404913233) სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

8. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე 752.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.464) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 278.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.460) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 244.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.772) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 1424.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.480) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

9. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 5006.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების - №1 შენობა-ნაგებობის (1061.00 კვ.მ); №2 შენობა-ნაგებობის (18.00 კვ.მ) და №3 შენობა-ნაგებობის (13.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.332, - იანეთის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე .

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

11. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/

12. **სხვადასხვა.**

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №g-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 ოქტომბრის N626223297195 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, იზრდება 2023 წლის გეგმაში საკუთარი შემოსავლები 5.0 ათ.ლარით. აღნიშნული თანხით საქონელი და მომსახურებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 3.5 ათ.ლარით, მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 1.5 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საკუთარი შემოსავლებით გასაწევ ხარჯში, საქონელი და მომსახურების მუხლში, მცირდება კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯის თანხა 2.48 ათ.ლარით, შესაბამისად, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერების მუხლში, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, თანხა იზრდება 2.48 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა გაიზარდა 1.02 ათ.ლარით და განისაზღვრა 19.02 ათ.ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული, თანხა გაიზარდა 3.98 ათ.ლარით და განისაზღვრა 3.98 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №g-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235525 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 ოქტომბრის** N : 62-6223297192 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სახლი თანადგომა''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, ხარჯების ნაწილში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი

სარგოს მუხლში თანხა მცირდება 3750 ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 3750 ლარით (ოფისის ხარჯი მ/შ შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯის თანხა 2950 ლარით, ბუნებრივი აირის ხარჯის თანხა 450 ლარით, წყლის ხარჯის თანხა 200 ლარით და საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის თანხა 150 ლარით).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235525 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 6,129.3 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 2,082.6 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 4,046.7 ათას ლარს.

2023 წლის 9 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 5,713.6 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 1,726.3 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი კვარტალის შემოსულობების შესრულების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 29,061.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24,793.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 85.3%.

შემოსავლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, 9 თვის გეგმა 28,331.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 24,025.7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 84.8% და მთლიანი - შემოსულობების 96,9% შეადგინა.

I . გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 14,563.4 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 12,398.7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2,164.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების

გადასახადზე მოდის.

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 12,861.0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 10,358.0 ათასი ლარი) 2,503.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,702.4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1,628.3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 1.9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 72.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების – 2,040.7 ათასი ლარი) შედარებით 338.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

II . გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 7,147.5 ათასი ლარი.

III . სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 2,093.6 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 2,314.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 110.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 2,069.3 ათასი ლარი) შედარებით 245.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

IV . არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 767.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 6.2 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 0,3 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 5,9 ათასი ლარი) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 761.5 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2023 წლის სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების 76.3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 11.2%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2022 წლის 9 თვესთან - 20,335.3 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 6,184.4 ათასი ლარით მეტი და შეადგენს 26,519.7 ათას ლარს.

2023 წლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ სამ კვარტალში შეადგინა 34,775.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 26,519.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76.3%-ია. მათ შორის:

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18,369.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 15,934.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.7%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 58.4%-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16,370.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 10,550.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 64.4%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 39.8%-ია.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 67.7 ათასი ლარიდან გადარიცხულია 67.7 ათასი ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

აზრი გამოთქვა: ემზარ შუბლაძემ.

ემზარ შუბლაძე - როგორც აღინიშნა, შესრულება , გეგმის 84.8%-ია. წლის ბოლომდე სავარაუდოდ 15%-ზე მეტი შემოვა, ისე არ მოხდეს, რომ წლის ბოლოსთვის დარჩეს აუთვისებელი და გამოუყენებელი თანხები. ჭარბი შემოსავლის შემთხვეევაში თუ გვაქვს მისი განკარგვის გეგმა?

ტარიელ ცომაიამ უპასუხა - გარდამავალი ტენდერები უკვე ჩატარებულია, ხელშეკრულებების მოწესრიგება ხვალისათვის იგეგმება. თუ ზედმეტი შემოვა ბიუჯეტში შემოსავალი დაგეგმილია 6 ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზების მოწესრიგება. შესასრულებელი სამუშაოები დაახლოებით მილიონ ლარზე მეტია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხოლოდ 100 000 ლარით ფინანსდება, ასეა დაკონტრაქტებული თებერვლამდე. თუ გვექნება ჭარბი თანხა, ის პირდაპირ გადავა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N21-ე ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 23 ოქტომბერს საკრებულოში შემოვიდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს NMRDI N01/2144 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N6363232302, 18.08.2023 (N3554/01, 18.08.2023) წერილით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, სამთავრობო კომისიის 2023 წლის 10 ოქტომბრის N39 სხდომის ოქმიდან ამონაწერს. სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერიდან დგინდება, რომ გაიცა კომისიის თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში, N21-ე ქუჩისათვის ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

გადაწყვეტილება საქართველოს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში განლაგებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, მიიღება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი აქტით და სამთავრობო კომისიის თანხმობით, როგორც წესი სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ. ვინაიდან ირაკლი ანდრიაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული იქნა საკრებულოს სხდომაზე და თანხმობისათვის გადაგზავნილი იქნა სამთავრობო კომისიაში.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ, მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, **დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში,** სოფელ დიდი ჯიხაიშში, N21-ე ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) ირაკლი ანდრიაძის სახელი.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში, **დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში,** სოფელ დიდი ჯიხაიშში, N21-ე ქუჩის I ჩიხს, შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) ირაკლი ანდრიაძის ქუჩის I ჩიხი.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ თადუმაძემ, გოჩა არველაძემ, მანანა სირბილაძემ და ემზარ შუბლაძემ.

ავთანდილ თადუმაძე - მაინტერესებს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება, რომ მოხდეს აღნიშნული ქუჩის სახელდება? ეს არის ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორია, რომელიც წლების განმავლობაში დარჩება.

ირაკლი მელაშვილმა დეტალურად უპასუხა ყველა იმ კრიტერიუმებზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სახელდების პროცესს.

ემზარ შუბლაძემ გამოთქვა პრეტენზია, სამტრედიის მკვიდრის, გივი ფრანგიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მუნიციპალიტეტიდან გაწეულ თანადგომასთან დაკავშირებით. თუნდაც მისი გამოსვენება ყოფილიყო კულტურის ცენტრიდან, ან დაკრძალულიყო ჩვენს მუიციპალიტეტში არსებულ პანთეონში.

ვაჟა სტურუა - მე როგორც ვიცი, ოჯახის დავალებით პიროვნება მობრძანებული იყო მერიაში. მასთან ერთად შეთანხმებული იყო დაკრძალვასთან დაკავშირებით ყველა პროცესი. ასე, რომ უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. სახელდებასთან დაკავშირებით, დღეს წარმოდგენილი პიროვნება იყო დასაფასებელი და პატივსაცემი თავისი კუთხისთვის, უდიდესი დამსახურება აქვს, როგორ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე ჩვენი ქვეყნის წინაშე, რის გამოც ერთხმად ვუჭერთ მხარს აღნიშნულ ქუჩას მიენიჭოს ირაკლი ანდრიაძის სახელი.

გოჩა არველაძე - ბატონო ავთანდილ, ვუპასუხებ თქვენს შეკითხვას. სახელდების კომისიას, კანონის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის დაცვით ხდება ამა თუ იმ ობიექტის სახელდება. შესაძლებელია ვთხოვოთ, აპარატის წარმომადგენლებს და მოგაწოდებთ ინფორმაციას, ვის მიენიჭება და როგორ მიენიჭება სახელი.

მანანა სირბილაძე - მოსახლეობამ მოითხოვა, ჩვეულებრივი დადგენილი წესით, ჯიხაიშის ერთ-ერთი ქუჩისათვის ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭება (განცხადება შემოიტანა საინიციატივო ჯგუფმა.) მოხდა საკითხის განხილვა კომისიურად. ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრები (გასვლითი სხდომები). როგორც გამონაკლისის წესით სახელის მინიჭებისათვის, საჭირო იყო საკრებულოს თანხმობა. საკრებულოს გადაწყვეტილება გავაგზავნეთ სამთავრობო კომისიაში და დღეს, მიღებული დადებითი პასუხის შესაბამისად, მხარდაჭერას ვაცხადებთ ქუჩის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N21-ე ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების შესახებ''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020.01.501) 17.09 კვ.მ ფართის ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-სთვის, თხოვების ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ს.ს. „ლიბერთი ბანკი", (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, ახორციელებს მოსახლეობის საპენსიო მომსახურებას. მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა ს.ს. ბანკის ხელმძღვანელობამ, ექსპრესის ცენტრის გასახსნელად ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობას საბანკო სერვისები სრულყოფილად მიეწოდოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიემართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საიდანაც მიღებულია თანხმობა. ლიბერთი ბანკის მომსახურების გასაწევად, შეიძლება გამოყოფილ იქნას სოფელ ბაშის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე ფართი -17.09 კვ.მ. ყოველივე ზემოთ

აღნიშნული საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ს.ს. „ლიბერთი ბანკს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020.01.501) 17.09 კვ.მ ფართი.

- თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი.

აზრი გამოთქვეს: ემზარ შუბლაძემ და გივი ჯულაყიძემ.

გამომსვლელებმა დააფიქსირეს უარყოფითი დამოკიდებულება ს.ს. „ლიბერთი ბანკისათვის“, ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან, 17.09 კვ.მ ფართის, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით, წინააღმდეგი- 2: ემზარ შუბლაძე და გივი ჯულაყიძე. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ერთმა წევრმა-ქეთევან კუტალაძემ), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020.01.501) 17.09 კვ.მ ფართის ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-სთვის, თხოვების ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ოქტომბრის N:62-62233006 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების (დაწყება/დასრულება 01.02.2023-10.02.2023, დაწყება/დასრულება 18.05.2023-25.05.2023 და დაწყება/დასრულება 07.09.2023-15.09.2023) შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით

ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ განიხილა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების საკითხი და **მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად:** მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის პრივატიზების შესახებ, გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით).

- განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

- განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ კომისიაზე იყო მსჯელობა საგარანტიო თანხის ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით, მაგრამ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საკითხი უფრო ფართო მსჯელობის საგანი გაგვეხადა და ცვლილების თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებულიყო საკრებულოს მიერ. პრაქტიკამ უჩვენა, რომ აღნიშნული თანხის შემცირება, გამოიწვევს აუქციონში კონკურენციას და გაცილებით მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. შესაბამისად, შემოვდივარ წინადადებით: შემცირდეს საგარანტიო თანხა და განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი - განხორციელდეს ცვლილება ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე'', განკარგულების პროექტში და 1,4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, **1.4.** განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით''.

კენჭი ეყარა აღნიშნულ ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), განხორციელდა შესაბამისი ცვლილება.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა მთლიანად განკარგულებას, შესაბამისი ცვლილებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), ცვლილების გათვალისწინებით, დამტკიცდა განკარგულება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)''-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი–404913233) სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულია შ.პ.ს. ,,ლუკნეტ-LukNetის (საიდ, კოდი 404913233) განცხადება 10/622319884-08 17.07.2023, რომლითაც ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ,,ლუკნეტ''-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ვადის გასვლის გამო, ახალი ხელშკრულებების (19.05.2016, 22.03.2016, 25.11.2015) გაფორმებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისათვის. შ.პ.ს. ,,ლუკნეტი"-სთვის სარგებლობაში გადაცემული გარე განათების ბოძების შესახებ, გაფორმებული იყო სამი ხელშეკრულება, სულ, 464 ცალისთვის. წინა სამივე ხელშეკრულების გარდა, ,,ლუკნეტ-(LukNet)" დამატებით სარგებლობს და გაუფორმებელი აქვს-437 ცალი გარე განათების ელექტროგადამცემი ბოძი. ამჟამად, სულ, სარგებლობაში აქვს 901 ცალი, რაზედაც უნდა გაფორმდეს ახალი ერთიანი ხელშეკრულება. საკითხი საჭიროებს საკრებულოს თანხმობას. შესაბამისად,

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად,

- მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადასცეს შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი–404913233).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის ვადად განისაზღვროს 05 (ხუთი) წელი.

- წლიურ საფასურად განისაზღვროს 10812 (ათი ათას რვაას თორმეტი) ლარი (05 წლის სარგებლობის საფასური 54060 (ორმოცდათოთხმეტი ათას სამოცი) ლარი).

- საფასური განაწილდება ყოველ თვეზე და გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)''-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი გადაეცემა მათზე ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის.

- შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)'' ვალდებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ერთეული ელექტროგადამცემ ბოძზე ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებით არ შეზღუდოს 901 (ცხრაას ერთი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის ელექტროგადამცემ ბოძებად გამოყენება.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ზემოაღნიშნული ქალაქ სამტრედიაში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი სარგებლობაში გადასცეს ასევე სხვა პირს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარე 901 (ცხრაას ერთი) ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით შ.პ.ს. ,,ლუკნეტ (LukNet)''-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი–404913233) სარგებლობაში გადაცემისთვის,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე 752.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.464) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 278.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.460) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 244.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.772) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 1424.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.480) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შ.პ.ს. ,,დაირექტ დებიტ ჯორჯია''-ს წარმომადგენლის, მალხაზ ლევიძის განცხადება, რომელიც ითხოვს, ტერმინალების განთავსების მიზნით, ქალაქ სამტრედიაში მდებარე 11 მიწის ნაკვეთზე ფართების გამოყოფას, თითოეულ ნაკვეთზე-0.5კვ.მ. განცხადებას თან ერთვის დანართი ფართის მისამართების და მდებარეობის შესახებ. წარმოდგენილი 11 ნაკვეთიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენს 3 ობიექტი (არ არის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრება), ამიტომ მათი გამოკლებით, რჩება რვა ფართი, რომელთაგან მხოლოდ ოთხი მათგანი (ტროტუარი) არის დარეგისტრირებული, ხოლო დანარჩენი ოთხი - არ არის რეგისტრირებული. დანარჩენი 4 ნაკვეთის რეგისტრაცია მოხდება უახლოეს მომავალში. რეგისტრირებული ნაკვეთებია:

1) სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა N2, ,,პ.ს.პ. აფთიაქის'' მიმდებარე მარკეტის წინ, ფართი 0.5კვ.მ, საკადასტრო კოდი 34.08.56.464, წლიური სარგებლობის საფასური- 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი, 1 თვის საფასური-40.00 ლარი.

2) სამტრედია, რუსთაველია ქუჩა N16, ,,დეილის" მარკეტის წინ, ფართი 0.5კვ.მ, საკადასტრო კოდი 34.08.56.460, წლიური სარგებლობის საფასური-480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი, 1 თვის საფასური-40.00 ლარი.

3) სამტრედია, ჭავჭავაძის ქუჩა N1დ, მარკეტის წინ, მაგთის ოფისთან, ფართი 0.5 კვ.მ, საკადასტრო კოდი 34.08.56.772, წლიური სარგებლობის საფასური-480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი, 1 თვის საფასური-40.00 ლარი.

4) სამტრედია, ჯავახიშვილის ქუჩა N7, ბანკის გვერდით, თონის წინ, ფართი 0.5 კვ.მ, საკადასტრო კოდი 34.08.56.480. წლიური სარგებლობის საფასური-480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი, 1 თვის საფასური--40.00 ლარი.

ამ ეტაპზე, საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება მხოლოდ 4(ოთხი) ნაკვეთის ნაწილის სარგებლობისათვის.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე 752.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.464) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 278.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.460) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 244.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.772) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 1424.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.480) 0.5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და მამუკა კოხრეიძეს შორის 2021 წლის 01 მარტს დადებული შეთანხმებით, ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით მოსარგებლე არის მამუკა კოხრეიძე, იგივე პირობებით, რაც ასახულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ლია გოგიას შორის 2020 წლის 17 აგვისტოს დადებულ სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებაში.

ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.860) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 37.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.961) გაერთიანების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღირიცხა ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - სკვერი (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962).

მამუკა კოხრეიძის (აღნაგობის უფლების მქონე პირის) აღნაგობის უფლება ვრცელდება ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ განიხილა ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხი და გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება.

- მამუკა კოხრეიძის (აღნაგობის უფლების მქონე პირის) აღნაგობის უფლება გავრცელდეს ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე - სკვერზე (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962).

- ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარი, შესაბამისად, 2023 წლის 01 ნოემბრიდან 2040 წლის 17 აგვისტომდე სარგებლობის ქირის საფასური იქნება 20 200 (ოცი ათას ორასი) ლარი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 237.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - სკვერიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საიდენტიფიკაციო კოდი №34.08.56.962) 200.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 5006.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების - №1 შენობა-ნაგებობის (1061.00 კვ.მ); №2 შენობა-ნაგებობის (18.00 კვ.მ) და №3 შენობა-ნაგებობის (13.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.332, - იანეთის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა სამტრედიის რაიონი, სოფელ იანეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5006.00კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა N1 (1061.00კვ.მ), შენობა N2 (18.00კვ.მ), შენობა N3 (13.00კვ.მ), რომელიც არის ბაგა-ბაღი. აღნიშნული უძრავი ქონება უნდა გადაეცეს ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას სარგებლობაში, უსასყიდლო უზუფრუქტით, ა.(ა).ი.პ. -ის არსებობის ვადით, რისთვისაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა. თანხმობის შემთხვევაში, სარგებლობაში გადაცემა აისახოს სარეგისტრაციო მონაცემებში.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ა.(ა).ი.პ-ს ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 5006.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები - №1 შენობა-ნაგებობა (1061.00 კვ.მ); №2 შენობა-ნაგებობა (18.00 კვ.მ) და №3 შენობა-ნაგებობა (13.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.332, - იანეთის საბავშვო ბაღი.

- ა.(ა).ი.პ-ს ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს იანეთის საბავშვო ბაღი სარგებლობაში გადაეცეს მისი არსებობის ვადით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 5006.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების - №1 შენობა-ნაგებობის (1061.00 კვ.მ); №2 შენობა-ნაგებობის (18.00 კვ.მ) და №3 შენობა-ნაგებობის (13.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.332, - იანეთის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, ხელშეკრულება შეუწყდა საკრებულოს დამლაგებელს, მაკა ჯულაყიძეს. აღნიშნული პიროვნება სარგებლობდა საკრებულოს აპარატის მომსახურებისათვის განკუთვნილ კორპორაციული ქსელით. შესაბამისად, საჭიროა ცვლილება განხორციელდეს საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარულებაში და დანართი N2-იდან ამოღებული იქნას მაკა ჯულაყიძე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომის დასასრულს განცხადება გააკეთა ვაჟა სტურუამ - ,,მინდა დღევანდელი დღე მივულოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს რედაქციას და მის წარმომადგენელს, ბატონ ლევან გაბეჩავას, გაზეთის 93 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ეს არის ჩვენი ქალაქის ისტორია. ისინი დღევანდელ დღეს განახლებულ გარემოში შეხვდებიან, წარმატებებს ვუსურვებ მათ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი